ბრძანება:**ბ47. 4724143001**
თარიღი:**22/05/2024**

ბრძანება N 47

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 29 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეკლა ჯიბუტი

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეკლა ჯიბუტი

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 180.30 კვმ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ - 28.10.23.096) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ოდა ქეარ"-ისათვის (ს/კ - 437373156) გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. ინფორმაცია გარემოს დაცვითი და სოფლის მეურნეობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე